



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49210857

თარიღი:26/03/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18**

**შპს „ტელეკომ 1“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით, გარე განათების ბოძების ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 მარტის №48-4821081170 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას შპს „ტელეკომ 1“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 2(ორი) წლის ვადით, „გარე განათების ბოძების ოპტიკურ- ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შპს „ტელეკომ 1“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, 2(ორი) წლის ვადით, გარე განათების ბოძების ოპტიკურ- ბოჭკოვანი კაბელის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 2021 წლის 26 მარტის №18 განკარგულების  
 დანართი №1

№	ქონების ადგილმდებარეობა	დასახელება და ფართობი	საკადასტრო კოდი
1	2	3	4
1	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ გეგუთი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 80.0 ერთეული გარე განათების ბოძი	29.00.272
2	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.305
3	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 44.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.306
4	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ მაღლაკი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 14.0 ცალი ლითონის ბოძი.	29.00.307
5	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 53.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.308
6	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 71.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.309
7	წყალტუბოს მუნიციპალიტე ტის სოფელ ფარცხანაყანევი	ხაზოვანი ნაგებობები (გარე განათების კონსტრუქციები): 11.0 ცალი ლითონის ბოძი	29.00.310